აშშ-მ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაზე მუშაობა 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო და მას შემდეგ ეფექტიანი ერთიანი სისტემა ჯერ არ შეუქმნია. 60-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის მაშინდელი თავდაცვის მინისტრ რობერტ მაკნამარას განკარგულებით, მუშაობა პერსპექტიულ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა Safeguard-ზე დაიწყო. მის შემადგენლობაში ორი სახის ანტირაკეტები უნდა შესულიყო. შორ დისტანციებზე ბირთვული ქობინები 1965 წელს შექმნილ Spartan-ს უნდა გაენადგურებინა. სამსაფეხურიანი სქემისას Spartan-ის სიგრძე 16,8მ-ს შეადგენდა, სასტარტო მასა — 13ტ, ფრენის მაქსიმალური სიჩქარე კი ბგერის 7 სიჩქარეს უტოლდებოდა. მას მიზნისთვის გზის გადაჭრა 250-550კმ-ის დიაპაზონში შეეძლო და 5მგტ-ის სიმძლავრის ბირთვუ-

ლი საბრძოლო ქობინი ჰქონდა. პირველი საცდელი გაშვება 1968 წლის 30 მარტს შედგა, 1971 წელს კი მან სტრატეგიულ რაკეტა „მინიტმენს“ გადაუჭრა გზა. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსს Safeguard-ში შემავალი მეორე ანტირაკეტა Sprint-ი ახლო დისტანციაზე, მაქსიმალურ 30კმ სიმაღლეზე მიზნის დასაჭერად იყო განკუთვნილი. ორსაფეხურიანი სქემის მიხედვით შექმნილი ანტირაკეტის სიგრძე 8,2მ-ს შეადგენდა, სასტარტო მასა 3049კგ-ს, ფრენის მაქსიმალური სიჩქარე კი ბგერის 12 სიჩქარეს უტოლდებოდა. ასეთი მაღალი სიჩქარის გამო სტარტი-ის რაკეტის აჩქარება 30-40გ-ს შეადგენდა.

აშშ-ის კონგრესის თავდაპირველი დაწვეულებით შეიარაღებაში მიღებული Safeguard-ის შემადგენლობაში 1000 ანტირაკეტა უნდა შესულიყო, — 300 Spartan-ი და 700 Sprint-ი. მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა აშშ-ის მთავრობის გეგმაში კორექტულები შეიტანა.

1972 წლის 26 მაისს აშშ-სა და საბ-

ჭოთა კავშირის შორის გაფორმდა ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების შექმნილების შესახებ. მხარეებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მხოლოდ ორ-ორი სისტემა (დაედაქლავის ან საკონტინენტშირისი ბალისტიკური რაკეტების გამშვები შახტების ვარშემო) ქონა შეეძლო, სადაც 150კმ რადიუსში 100 ანტირაკეტაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. 1974 წელს დადებული დამატებითი ხელშეკრულების თანახმად, ნებადართული იყო მხოლოდ ერთი ნობიექტის ვარშემო განთავსებული სისტემის ქონა. საბჭოთა კავშირმა მოსკოვი აირჩია, აშშ-მ კი სამხრეთ დაკორეაში განთავსებული ბაზა გრანდ-ფორესი, სადაც 200 სტრატეგიული დანიშნულების ბალისტიკური რაკეტა „მინიტმენი“ იყო განთავსებული. ერთხანს კომპლექსის გაშინგტონის ვარშემო გადმოტანის საკითხიც განიხილებოდა.

1975 წლის 1-ელ ოქტომბერს სისტემა Safeguard-ი 30 Spartan-სა და 70 Sprint-ის ტიპის ანტირაკეტების შემადგენლობით, საბრძოლო მორიგეობაზე



აშშ-ს, წინა ადმინისტრაციის ბეგმით, პოლონეთში GBI-ის ტიპის ათი ასეთი ანტირაკეტა უნდა განეთავსებინა



AMERICA



სისტემა Aegis-ის ფაზირებულ ცხარერიანი რადიოლოკაციური სადგური

დადგა. მისი მიზნის დაფიქსირებისა და გზის გადჭრის მანძილი 200-300 კმ-ს არ აღემატებოდა. 1976 წელს, კომპლექსზე 7-8 მილიარდის დახარჯვის შემდეგ, ექსპლუატაციის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ სისტემა Safeguard-ი დააკონსერვეს. 2001 წლამდე ის აშშ-ის ტერიტორიაზე განლაგებული ერთადერთი ანტისარაკეტო სისტემა იყო.

მუშაობა ახალ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაზე ხელისუფლებაში რონალდ რეიგანის მოხელის შემდეგ განახლდა. 1983 წლის 23 მარტს რეიგანმა წამოაყენა ამერიკული სტრატეგიული თვალცეკვითი ინიციატივა, რომელსაც პოპულარული ფილმის პატუცსაკემად „ვარსკვლავური ომების პროგრამა“ შეარქვეს. პროგრამის ფარგლებში ორბიტარულ ბალისტიკური რაკეტების გზაგადაძღვრული რამდენიმე ათეული თანამგზავრის გაყენა იგეგმებოდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ეს იოლი არ გამოდგა და 80-იანი წლების ბოლოს პროგრამა დახურეს.

1991 პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-ი უფროსმა აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თვალცეკვითი სისტემის ახალი კონცეფცია ჩამოაყალიბა. მაშინ დროის დაზოგვის მიზნით მუშაობა ერთდროულად რამდენიმე მძიმართლებით დაიწყო. ერთ-ერთი მათგანი რაკეტა GBI იყო.

რობერტ გეიტსის თქმით, ირანის ბირთვული საფთხისგან ევროპის დასაცავად 2011 წლისთვის ხმელთაშუა ზღვაში Aegis-ის სისტემით აღჭურვილ სამხედრო ხომალდებს გამოიყენებენ, რომლებიც ირანიდან გამწვებული საშუ-

ალი და ახლო მოქმედების ბალისტიკური რაკეტების დასაჭერად მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იქნებიან. ამ სისტემაზე მუშაობა 1969 წელს დაიწყო და დღეისთვის ის მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი და მოწინავე სისტემაა. მას ერთდროულად ხმელეთზე, წყალზე, წყალქვეშ და ჰაერში მყოფი მიზნების გაკონტროლება შეუძლია. პირველი საზღვაო ხომალდი, რომელზეც ეს სისტემა დააყენეს, 1983 წელს მწიკორში შესული USS Ticonderoga იყო. სულ კი შეიარაღებაში Aegis-ით აღჭურვილი 107 ტრასერი და საესკადრო ნაღმოსანი მიიღეს.

სისტემის შთავარი კომპონენტია ოთხი ფაზირებულ ცხარერიანი ანტენის მქონე AN/SPY-ის ტიპის რადიოლოკაციური სადგური, რომელიც ხომალდის გარშემო 190 კმ რადიუსში არსებულ სივრცეს სრულად აკონტროლებს. მას ერთდროულად 250-300 მიზნის თანხლება შეუძლია. Aegis-ით აღჭურვილი ხომალდების შთავარი კალიბრს რაკეტები SM-2 წარმოადგენენ, რომლებიც დღეს მოდერნიზებულმა SM-3-ებმა (Standard Missile) შეცვალა. წინამორბედისგან განსხვავებით მას ბალისტიკური რაკეტების საბრძოლო ქობინების განადგურებაც შეუძლია. რაკეტის სიგრძე 6,55 მ-ია დაამეტრი კი — 0,34 მ.

2008 წლის 21 თებერვალს საესკადრო ნაღმოსანი Lake Erie-დან ნახსენებულმა სამსაფეხურიანი სქემის მიხედვით შექმნილმა SM-3-მა 247 კმ სიმაღლის ორბიტაზე კინეტიკური ენერჯის

საშუალებით 36667 კმ/სმ სიჩქარით მფრინე აეროული სადაზვერუო თანამგზავრი USA-193 განადგურა.

დღეს ინტენსიურად მუშავდება რაკეტის SM-6 ვარიანტში მოდერნიზაციის პროექტი. საერაულოდ, შეიარაღებაში მას 2011 წელს მიიღებენ. წინასწარი ცნობით, მისი სიგრძე 6,5 მ-ია, სასწრაფო მასა — 1500 კგ, სიჩქარე — 3,5 მახ. მიზნის დაჭრის დისტანცია — 240 კმ, სიმაღლე კი 33 კმ.

2008 წლის შემოდგომაზე პენტაგონმა 102 რაკეტა SM-3 შეუკვეთა, საიდანაც 75 ამერიკულ ხომალდებზე განთავსდება, 27 კი იაპონიის სამხედრო ხომალდებზე.

სხვათა შორის, აშშ-მ დაარღვია 1974 წელს ხელმოწერილი დამატებითი ხელშეკრულება, რომელიც კრძალავდა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საზღვაო, საჰაერო, კოსმოსური ან მიხედვითი-სამხედველო კომპონენტებისა და ასევე მილიანი ქვეყნის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნას. 2002 წლის 12 თვის აშშ ცალმხრეად გამოვიდა რაკეტსაწინააღმდეგო ხელშეკრულებიდან.

აშშ-ის აკჰამინდელი ადმინისტრაციის გეგმის თანახმად, 2015 წლისთვის საზღვაო ბაზირების SM-3-ების ხმელთაშუა ზღვაში სახმელეთო ვარიანტებში მოდიფიცირებული ანტირაკეტების რამდენიმე ათეული შეუერთდება, რომლებსაც ევროპის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში განათავსებენ.

თავად ხომალდების ხმელთაშუა ზღ-

დღევანდელი დღისთვის Aegis-ი საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სივრცის კონტროლის ყველაზე სრულყოფილი სისტემაა



ჩვენები ორი წლის

განმავლობაში ამოღ

ვლოდნენ მათი ქვეყნის

ტერიტორიაზე ასეთი XBR-ის

ტიპის რადარის სახმელეთო

ვარიანტის განთავსებას



ვაში განთავსება საკმაოდ ძვირი დაჯდება. დაკისრებული ამოცანის შესასრულებლად მორიგეობაზე ერთდროულად 2-3 ხომალდი უნდა იყოს, რომლებიც 24 საათის განმავლობაში საბრძოლო მზადყოფნაში იქნებიან. თანაც ხომალდები ერთმანეთს პერიოდულად უნდა შეეხებოდნენ. ამიტომაც უფრო იაფი და ბევრად მოსაზრებელი იქნება ირანთან ახლოს, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის სტაციონარული კომპონენტების განთავსება. ობამასა და გუტსის განცხადებების შემდეგ განჩნდა მოსაზრება, რომ ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ზოგიერთი ელემენტი შესაძლოა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში განთავსდეს, მაგრამ ეს ნაკლებსაფარაუდოა, უპირველესად საქართველოს ჩრდილო მეზობლის „მეგობრული“ დამოკიდებულების გამო. რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა რუსეთსა და აშშ-ს შორის მიმდინარე პოლიტიკური თამაშის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია. საფარაუდოდ, თვითცალკურმა მოსკოვმა დიდი ძალისხმევით მოახერხა ობამას ადმინისტრაციის დარწმუნება პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებაზე უარი ეთქვა და ახლა ვაშინგტონმა ანტირაკეტები ან თუნდაც რადარი საქართველოში რომ განთავსდეს, მოსკოვი სულ გადაირევა. არც ისაა გამორიცხული, მოსკოვმა ვაშინგტონს ირანის საპაერო სივრცის გასაკონტროლებლად აზერბაიჯანში, გაბალაში განთავსებული Дарьяლ-ის ტიპის რადიოლოკაციური სადგური შესთავაზოს, რომელზეც აშშ-მ უარი 2007 წელს თქვა. დღეისთვის

რუსეთს ვივეწლიურად ამ რადიოლოკაციური სადგურის ქირაობა 14 მილიონი დოლარი უჯდება.

21 სექტემბერს ერთ-ერთმა პოლონურმა ვაშეთმა გაურცველა ცნობა, რომ აშშ-ზე განაწვეწებული ვარშავა ამერიკული კომპლექსის Patriot-ის ალტერნატიულ ვარიანტს შექმნის. ამ საკითხზე უკვე რამდენიმე წელია მუშაობს პოლონური თავდაცვითი საწარმო Bumar-ი. მისი თვითცალკური წარმომადგენლის განცხადებით, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, თვითმფრინავებთან ბრძოლის გარდა, მოწინააღმდეგის საშუალო მოქმედების რა-

დიუსის ბალისტიკური რაკეტების განადგურებას ახლო (4-6კმ), საშუალო (20კმ-მდე) და შორ დისტანციებზე (200კმ-მდე) შეძლებს.

პოლონეთის განვითარებული თავდაცვითი მრეწველობის მიუხედავად, შეძლებს თუ არა ვარშავა ანტირაკეტების შექმნას, ჯერ კიდევ საკითხავია. არც ის არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში აშშ-ის ადმინისტრაციამ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ელემენტების ვეროაში განთავსების საკითხში ცვლილებები შეიტანოს.

თევზრ აულუზაშვილი





უპართავი საავიაციო რაკეტები

უპართავ საავიაციო რაკეტებზე მუშაობა ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა კავშირმა დაიწყო და 30-იანი წლების დასაწყისში 82 და 132 მმ-იანი რაკეტები გამოცადა. რაკეტების ცილინდრული ფორმა და ფრენისას სტაბილიზაციისთვის კუდა ნაწილში ფრთახმულობა პქონდაო, მაგრამ სწორედ რაკეტის სტაბილიზაცია იყო ყველაზე დიდი პრობლემა, — დიდი გაქანის სტაბილიზატორი რაკეტის სიძიმის ცენტრს უკან სწევდა, თავად სტაბილიზატორის სისქის შემცირება კი არაეფექტიანი გამოდგა.

82 მმ-იანი PC-82-ის სიგრძე 600 მმ-ს შეადგენდა და 6,8 კგ-ს იწონიდა, საიდანაც 0,36 კგ საბრძოლო ქიმიზე მოდიოდა. ფრენის მაქსიმალური მანძილი 6,2 კმ-ს აღწევდა. 132 მმ-იანი PC-132-ის სიგრძე 845 მმ-ს შეადგენდა და 23 კგ-ს იწონიდა, საიდანაც 0,9 კგ საბრძოლო ქიმიზე მოდიოდა. გაზრდილ წონასა და კალიბრთან ერთად მისი ფრენის მაქსიმალური მანძილი 7,1 კმ-ს მაღლყო.

ახალი სახის საავიაციო შეიარაღების საბრძოლო ნაწილობა 1939 წლის აგვისტოში, მდინარე ზღზინ-გოლზე, აპონიის ჯართან ბრძოლისას შედგა. გამანადგურებელ И-16-ებს ფრთებქვეშ ექს-ექსი 82 მმ-იანი რაკეტა მაქსონდაო.

1940 წელს ორეე კალიბრის რაკეტა შეიარაღებაში მიიღეს და მათ ძირითად „ომშხარებლად“ მოიეროე Ил-2-გზადა, რომლის პირველ მოდიფიკაციებზაც 16 82 მმ-იანი რაკეტის წლებზ შეეძლო (რვა-რვა თითო კონსოლის ქვეშ). რაკეტის სტარტისათვის იფრებდენ რელსური ტიპის გამშვებს. თგიდან Т-სებრი


პროფილის გამშვები გამოიფრებოდა, შემდგომ კი უფრო უკეთეს П-სებრზე შეცვალეს, რომელზეც რაკეტა ორი საკეტით იტილებოდა.

ქორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საფრონტო ავიაციამ უპართავი საავიაციო რაკეტების გამოყენება ინტენსიურად დაიწყო, მაგრამ საბრძოლო პირობებში მათი ეფექტიანობა უფრო დაბალი აღმოჩნდა, ეიდრე მოელოდნენ. მიზნისკენ 400-500მ დისტანციიდან გამშვებული რაკეტების საერთო-პროცენტუელი რაოდენობიდან მიზანს ზუსტად მხოლოდ 1,1% მოზედა. 82 მმ-ან უპართავ რაკეტების მსუბუქი კლასის გერმანული ტანკების განადგურებზა კი მხოლოდ პირდაპირი მოზედრის შემთხვევაში შეეძლოთ.

უფრო უარესი შედეგი აჩვენა 132 მმ-იანი PC-132-მზ — 500-600მ დისტანციიდან სროლისას რაკეტის საერაული წრიული გადაზრა 14-16 მ-ს აღწევდა. საშუალო კლასის ტანკის დასაზინებლად კი პირდაპირ თუ არა, რაკეტა მიზნიდან მაქსიმუმ 1 მ-ში მანც უნდა აფეთქებულიყო.

ბერი ნაკლის მოზედეად, უპართავი საავიაციო რაკეტები შეიარაღების ახალი საზეობა იყო, რომელმაც შემდგომში საკმაოდ დიდი გავრცელება პოე.

თითქმის იმეეე პერიოდში უპართავი საავიაციო რაკეტებზე მუშაობზ გერმანელებმაც დაიწვეს. საბჭოთა კავშირისგან განსხვევებით, სადაც მსზრგვად ფუგასურ რაკეტებს უმეტესწილად ცოცხალი ძალისა და მსუბუქად დაჯეეუნული მიზნების გასანადგურებლად იენებდნენ, გერმანელები ამ კლასის შეიარაღებას საკაერო ბრძოლებში ტანკების გასანადგურებლად ხმარობდნენ. 1943 წლიდან გერმანელები საკაერო ბრძოლებში ინტენსიურად იენებდნენ 210 მმ-იან W.Gr.42-ის ტიპის უპართავ რაკეტებს, რომლებიც ზუთლულანი საზმეულო რეაქტიული ნაღმსატეორცნის ბაზზე შეიქმნა ამერიკული B-17-ის წინააღმდეგ რაკეტა, რომლის სიგრძეც 1260 მმ-ს შეადგენდა, ძალზე ეფექტიანი საშუალება იყო. უმეტეს შემთხვევაში დაზინებული თვითმფრინავი პავრშიე ფეთქდო.



82მმ-იანი PC-82-ებით შეიარაღებული საავიაციო რაკეტები


ბოლა და თან გვერდით მფრენ თვითმფრინავებსაც აზიანებდა. რაკეტა 110 კგ-ს იწონიდა, საიდანაც 38,6 კგ საბრძოლო ქობინზე მოდიოდა. რაკეტის ბალისტიკური მანძილი 7 კმ-ს შეადგენდა, მაგრამ საჰაერო მიზნის გასანადგურებლად მას მაქსიმუმ 1 კმ-დან იყენებდნენ. რაკეტას თავისივე გამშვები ძალით თითო ცალის ოდენობით გამანადგურებელ Fw-190-ისა და Me-109G-ის ფრთის კონსოლების ქვეშ კიდებდნენ. ორძრავიანი გამანადგურებელ Me-410B-2-ის შესაიარებლად კი საცდელი ექსპლუატიონი გამშვები დოლურა იყო შექმნილი, რომელიც თვითმფრინავის ცხვირა ნაწილის ბომბაკვეთურში განათავსეს. დოლურიდან რაკეტები სტარტს ზალპით, წვეილ-წვეილად იღებდნენ. სამისოდ ფრუზულაჯის ცხვირში სპეციალური ჭრილი იყო გაკეთებული. ეუექტანობის მიუხედავად, რაკეტების დოლური გამშვები სერიულ წარმოებაში არ ჩაუშვიათ.

მეორე მსოფლიო ომის დროს ყველაზე შედეგაანი უმართავი საჟაფიო რაკეტა, რომელიც მოწინააღმდეგის თვითმფრინავებთან საბრძოლველად გამოიყენებოდა, 55 მმ-იანი R4/M იყო. მისი სიგრძე 812 მმ-ს, წონა კი 3,85 კგ-ს შეადგენდა, საიდანაც 0,52 კგ საბრძოლო ქობინზე მოდიოდა. მკარასეკეიანი ძრავა რაკეტას 512მ/წმ ტოლ სიჩქარეს ანიჭებდა და ფრენისას მისი სტაბილიზაცია გასაშლელი ფრთასხეულობით ხდებოდა. რაკეტის მილიდან არ ეწოლური გამშვებიდან უშვებდნენ.

რაკეტული Me-262-ის ფრთის ქვეშ 12-12 ასეთი რაკეტა მაგდებოდა. 1945 წლისთვის გერმანიას ამგვარი რაკეტებით შეიარაღებული 60 თვითმფრინავი ჰქონდა. ამითან ექვსი ფრთის ქვეშ ორ აირუსად დამარტებული 48 რაკეტა მიჰქონდა. რაკეტები ომის დამთავრების გამო გერმანელებმა ამ ტიპის 12000 უმართავი რაკეტებიდან მხოლოდ 2500-ის გამოყენება მოახსრეს.

ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე, 1944 წელს, მოწინააღმდეგის ტანკებთან საბრძოლველად შეიქმნა უმართავი საჟაფიო რაკეტა „პანცერბლიც I“. მისი კალიბრი 80 მმ-ს, სიგრძე კი 705 მმ-ს შეადგენდა. რაკეტის წონა 6,6 კგ-ს უტოლდებოდა, ფრენის 3743 წმ ტოლი მაქსიმალური სიჩქარისას კი 90 მმ-იანი ჯაჟმის გაზურქტა იოლად შექლო.

მეორე მსოფლიო ომის დროს მოწინააღმდეგის სახმელეთო მიზნების გასანადგურებლად ამერიკული P-47 Thunderbolt-ი და საეკმბანი მოიერი-



გამოშვებული Fw-190A-8-ების ნახევარს ორი 21088-იანი W.Gr.21-ის წაღება შექლოთ

შვები Mk-4-ის ტიპის 70 მმ-იან უმართავ საჟაფიო რაკეტებს იყენებდნენ. ეს რაკეტა ამერიკელმა სპეციალისტებმა ნალაფარი გერმანული R4/M-ის ბაზაზე შექმნეს. ომის პერიოდში ამერიკელმა მფრინავებმა ამ სახის შეიარაღებას „გემო გაუგეს“ და 1949 წელს შეიარაღებაში უმართავი 76 მმ-იანი რაკეტა Mighty Mouse მიიღეს. მისი გამოყენება როგორც საჰაერო, ასევე სახმელეთო მიზნების გასანადგურებლად შეიძლებოდა. პერში მისი სტაბილიზაცია გასაშლელი სტაბილიზატორით ხდებოდა. რაკეტის სიგრძე 1220 მმ-ს შეადგენდა. საჰაერო მიზნების გასანადგურებლად რაკეტის გამოყენების ეუექტანი მანძილი 800-900 მ-ს არ აღემატებოდა, სახმელეთოების შემთხ-

ვევაში კი 3000 მ-ს შეადგენდა. ფრენისას რაკეტა მაქსიმალურ 600მ/წმ სიჩქარეს ავითარებდა.

ექსპლუატაციის პროცესში რაკეტის გამშვების სქემები ვითარდებოდა. კრებულ, გამანადგურებელ F-86D-ის ფრუზულაჯის ქვედა ნაწილში 24 რაკეტაზე გათვლილი სპეციალური კონტინენერი მაგდებოდა, რომელიც გასროლის წინ გარე გამოდიოდა, F-100-ს კი ფრუზულაჯის ქვეშ 45-45 რაკეტაზე გათვლილი ორი კონტინენერი მიჰქონდა.

რაკეტების განთავსების ყველაზე ორიგინალური სქემა F-94C-ს ჰქონდა. მასზე 24 რაკეტა, თავისი გამშვები ძალით, ცხვირით არსებული რადიოლოკაციური სადგურის გარშემო იყო განლაგებული. ფრთების კონ-

F-96C-ზე 24 უმართავი რაკეტის განთავსება, ცხვირში, რადიოლოკაციური სადგურის გარშემო ხდებოდა





Cobra უმართავი რაკეტა Zuni-ს გაშვების მომენტში

სიღებში კი I2-12 რაკეტაზე გათვლილი კიდევ ორი-ორი კონტეინერი მაგრდება.

1957 წელს აშშ-ის სამხედრო-სახლავო ფლოტის ავიაციამ შეიარაღებაში უფრო ძლიერი უმართავი რაკეტა Zuni მიიღო, რომლის კალბრც 127 მმ-ს შეადგენდა. წინამორბედის მსგავსად ისიც ორმაგი დანიშნულებისა იყო და მისი გამოყენება როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო მიზნების გასანადგურებლად შეიძლებოდა. რაკეტის მახასიათებლების თანახმად, მოწინააღმდეგის თვითმფრინავის გასანადგურებლად რაკეტის გამოყენება 2000 მ დისტანციაზე შეიძლებოდა, რეალურად კი, მიუხედავად იმისა, რომ რაკეტის ბალისტიკური ფრენის მანძილი 9000 მ-ს აღემატებოდა, საჰაერო მიზნის დაზიანების მანძილი 800 მ-ს არ აღემატებოდა. რაკეტის სიგრძე 2790 მმ-ს შეადგენდა, მისი სასტრატო მასა კი 48,5კგ-ს უტოლდებო-

და. რაკეტას როგორც ინდივიდუალური რელსური ტიპის გამშვებიდან, ასევე ოთხ რაკეტაზე გათვლილი LAU-10C/B-ის ტიპის ბლოკიდან უშვებდნენ. 1967 წლის I-ელ მაისს ვიეტნამში Zuni-თი საბჭოთა წარმოების მიГ-17-ის ტიპის გამანადგურებელი ჩამოადგეს. ამ ტიპის რაკეტების ძირითადი მომხმარებლები F-89 და F-4 Phantom II-ის ტიპის გამანადგურებლები და ფეხდა სახის საგემბანო მოიერიშე იყო.

მაგრამ როგორც აღმოჩნდა, სახმელეთო სამიზნეების გარდა რაკეტა საკმაოდ კარგი ხომალდსაწინააღმდეგო საშუალებაც იყო. 1967 წელს ვიეტნამის მახლობლად ამერიკულ ავიამზიდ Forrester-ის გემბანზე Phantom II ასაფრენად ემზადებოდა, როდესაც ერთ-ერთი ბლოკიდან რაკეტის თვითგაშვება მოხდა და ის მოპირდაპირე მზარეს მზგარ Sky Hawk-ს საწვავის აუზში მოხვდა. გემბანს ცეცხლი მოედო და

ხანძარი 18 სთ-ს გაგრძელდა. მცხელმა განადგურა 29 თვითმფრინავი და 42 დაზიანა. დიღუპა 134 კაცი, დაშავდა 64. ორი წლის შემდეგ ანალოგიური შემთხვევა ავიამზიდ Enterprise-ის ბორტზე მოხდა. მაშინ რაკეტა პირდაპირ ბლოკში აფეთქდა და სხვა თვითმფრინავების საბრძოლო კომპლექტის დეტონაცია გამოიწვია. შემთხვევას 27 კაცის სიცოცხლე შეეწირა.

ვიეტნამის ომში უმართავი საავიაციო რაკეტების ინტენსიურად მომხმარებელი დამრტყმელი შეეუღლმფენ AH-1 Cobra იყო, რომელიც შეიარაღების სახით 70 მმ-იან Hydra 70-ის ტიპის რაკეტას იყენებდა. ეს უკანასკნელი Mighty Mouse-ის გაუმჯობესებული ვარიანტი იყო. დღეს რაკეტის მთავარ მატარებელ საშუალებას ამერიკული დამრტყმელი AH-64 Apache წარმოადგენს. ის რაკეტებს M260-ისა და M261-ის ტიპის 7- და 19-გამშვებიანი ბლოკებიდან ისვრის. არსებობს რაკეტის სხვადასხვა ვარიანტი: მსხვერვალ-ფუგასური, ჯავშანგამტანი, მანათობელი, სასწავლო-საბრძოლო კომბინები.

უმართავ საავიაციო რაკეტებს შორის ყველაზე უნიკალურ ქმნილებას AIR-2 Ding-Dong-ი წარმოადგენდა. მისი სასტრატო წონა 373კგ-ს შეადგენდა, მაგრამ ბიკალიბრული სქემის მიხედვით შექმნილ რაკეტას (კორპუსის კალიბრი 370 მმ, საბრძოლო კომბინის — 422) სხვა შესაძლებლობაც ჰქონდა. კერძოდ, საბრძოლო კომბინის სახით მას 2მგტ სიმძლავრის ბირთვული მუხტი მიჰქონდა, რომელიც 110კგ-ს იწონიდა. ძლიერი მყარსაწვავიანი ძრავის წყალობით ფრენისას რაკეტა 5600/წმ სიქქარე ავითარებდა, მისი ფრენის მაქსიმალური მანძილი კი 9,2კმ-ს შეადგენდა. რაკეტაზე მუშაობა 1954 წელს დაიწყო, ორი წლის შემდეგ კი გამანადგურებელ F-

ბირთვულ კომბინიანი AIR-2-ის ტიპის უმართავი საავიაციო რაკეტა შეიარაღებაში 27 წელი იყო




89J-ის ბორტიდან პირველად გაუშვეს. AIR-2-მა 5,5კმ იფრინა და მიწიდან გატეხული ბრძანებით აფეთქდა. სასაერო მიზნების სახით რაკეტა ბომბ-დამშენების დაჯგუფების განსაზღვრულად უნდა გამოიყენებინათ. გათვლების თანახმად, ბირთვულ აფეთქებას 800-1000 მ რადიუსში ნებისმიერი თვითმფრინავის განადგურება შეეძლო. რაკეტა შეიარაღებაში 1957 წელს მიიღეს და მისი ტარება F-89J, F-102, F-104, F-106 და F-4 Phantom II-ს შეეძლო. შეიარაღებიდან AIR-2 მხოლოდ 1984 წელს მოხსნეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკაზე არანაკლებ პოპულარული უმართავი საავიაციო რაკეტები საბჭოთა კავშირში იყო. 50-იან წლებში ნუკლეარმა შექმნა 57 მმ-იანი C-5-ის ტიპის რაკეტა, რომლის ბაზისს გერმანული R4/M წარმოადგენდა. ფოლადის კორპუსის მქონე რაკეტის სიგრძე 830 მმ-ს შეადგენს. ის 3,86კგ-ს იწონის, საიდანაც 1,08კგ საბრძოლო ქიმიკატი მდის. მისი გაშვების მაქსიმალური დისტანცია 2000 მ-ს აღწევს და სიმაღლის მიხედვით შეიძლება არა აქვს ფრენის დრო რაკეტის სტაბილიზაცია ბრუნვით ხდება, რასაც კვდა ნაწილში განიცხადებული გასაშლელი სტაბილიზატორით ახდენს. რაკეტის მქარასწავიანი ძრავა მხოლოდ 1,1 წმ-ს მუშაობს. ამ დროის განმავლობაში რაკეტა 300 მ-ს მიფრინავს, დარჩენილი მანძილი კი ბალისტიკური ტრაექტორიით იფრინებს. რაკეტის აფეთქება კონტაქტური ამფეთქით ხდება.

რაკეტებს ძირითადად, ორი სახის ბლოკებიდან — YB-16-57 და YB-32-57-იდან უშვებენ, რომლებიც, შესაბამისად, 16 და 32 რაკეტას იტვიფენ. ამ ტიპის ბლოკები ვეკლოვა საბჭოთა სამხედრო შევლმფრენსა და თვითმფრინავზე იყო.

დღეს მხოლოდ 32-რაკეტაიანი ბლოკები გამოიყენება, მაგრამ თვითმფრინავებსა და შევლმფრენებზე გამოსაყენებელ ბლოკებს ერთი განსხვავება აქვთ, — ამ უკანასკნელის შემთხვევაში ბლოკს უკან გარსაცმი უკეთდება, რომელსაც ქვევიდან ამონაჭერი აქვს გაკეთებული. შეიარაღებაში 1955 წელს მიღებული რაკეტის ბაზაზე, ექსპლუატაციის პროცესში სხვადასხვა მოდიფიკაცია შეიქმნა: ჯაშუშგამტანი კომპლექტიანი ქიმიკატი (C-5K), ფუგასური (C-5M), მანათობელი (C-5O), რკინის დამაზიანებელელებქმნებიანი (C-5C). ფართო გავრცელების მიუხედავად, ამ

ვიეტნამის ომისას
70 მმ-იანი Hydra-ს
ყველაზე აქტიური
„მომხმარებელი“
დამრტმელი AH-1 იყო



ტიპის რაკეტებს საბრძოლო ქიმიკატი სუსტი ჰქონდა. მეორე იყო გაშვების დისტანცია. ამიტომაც 1965 წლიდან მის მოდერნიზაციაზე დაიწყო მუშაობა. საბრძოლო ქიმიკატი და ძრავის სიმძლავრის გაზრდას რაკეტის კაბარტი გაზრდეს მოჰკეთა და მისმა კაბარტმა 80 მმ შეადგ-



ინა. ახალი C-8-ს სიგრძე 1570 მმ-ს, წონა კი 11,3კგ-ს შეადგენს, საიდანაც 3,6კგ საბრძოლო ქიმიკატი მდის. რაკეტის გაშვების მაქსიმალური დისტანციაა 4000მ, მინიმალური კი — 1300მ. რაკეტის გამოყენება მაქსიმალურ 1200კმ/სი სიქარზეა დასაშვები, სავარაუდო წარული გადახრა 12 მ-ს არ აღემატება. წინამორბედის მსგავსად რაკეტის სტაბილიზაცია ფრენისას ბრუნვით ხდება, რასაც ექვესოილიანი გასაშლელი სტაბილიზატორი უზრუნველყოფს.

რაკეტას ორი სახის ბლოკიდან, საშველმფრენო B-8B20 და სათვითმფრინავო B-8-იდან უშვებენ. თვითმფრინავის ფრენის მაღალი სიქარიდან გამო-

5788-იანი უმართავი C-5-ის
ტიპის რაკეტები და მათი
გამშვები ბლოკი YB-32-57





რაკეტა C-8-ს კომპლაციურ-მსხვერვალი საბრძოლო ქობინი აქვს. მის ბაზაზე შეიქმნა რაკეტები შემდეგი ქობინებით: ბეტონ-საწინააღმდეგო (C-8Б), მოცულობით-დურნირებადი (C-8Д), მსხვერვად-ფეკა-სური (C-8ДФ), კომპლაციურ-მსხვერვალი (C-8КОМ), მანათილებლი (C-8О).

რაკეტა პირველად აღინათში გამოიყენეს. მფრინველები უპირატესობას უფრო ახალ 80 მმ-იანებს ანიჭებდნენ. სხვათა შორის, აფხაზეთის ომში ორივე, 57 და 80 მმ-იანი რაკეტების გამშვებ ბლოკებს ქართული და აფხაზური მხარეები სახმელეთო დანადგარებიდან, რეაქტიული არტილერიის სახით იყენებდნენ.

**C-8-ის ტიპის რაკეტების
საშველმფრენი 58B20 და
სათვითმფრინავო 58-ის
ტიპის გამშვები ბლოკები**

დინარე, ბლოკს კონუსისებრი ცხვირა ნაწილი აქვს და გამშვები მილები კონუსის კონტურს არ სცილდებიან. საშველმფრენო ვარიანტში კი, სადაც ფრენის სიჩქარე გაცილებით დაბალია, ბლოკს კონუსი არა აქვს და გამშვები მილები ბლოკიდან ერთ მანძილზე გამოდინან. პირველ შემთხვევაში ბლოკის სიგრძე 2760 მმ-ს შეადგენს და 160 კგ-ს იწონის. მეორის სიგრძე 1700 მმ-ია, წონა კი 123 კგ-ს არ აღემატება. ორივე ვარიანტში ბლოკი 20 რაკეტას იტევს.

80-იან წლებში შეიქმნა შეიდ რაკეტაზე გათვლილი გამშვები ბლოკი B-8B7. მისი სიგრძე 1700 მმ-ია და მხოლოდ 40 კგ-ს იწონის.

საბაზო ვარიანტში უმარაოვ საუეიაციო



**122მმ-იანი რაკეტების
გამშვები ბლოკი B-13**

წინამორბედთან 80 მმ-იანი უმარაოვი რაკეტის უპირატესობის მიუხედავად, დუშინების გამაგრებული ობიექტების გასანდგურებლად ამ უკანასკნელის სიმძლავრე აშკარად არასაკმარისი იყო. ამიტომაც მის ბაზაზე შეიქმნა 122 მმ-იანი უმარაოვი რაკეტა C-13. მისი სიგრძე 2900 მმ-ს შეადგენს და 50 კგ-ს იწონის, საიდანაც 23 კგ საბრძოლო ქობინზე მოდის. რაკეტის გამშვების მაქსიმალური დისტანცია 4000 მ-ია, მინიმალური კი — 1100მ. C-13-ის გამოყენება მაქსიმალურ 1200 კმ/სთ სიჩქარეზე დასაშვებია, მისი საფარაულო წრიული ვადახრა 12 მ-ს არ აღემატება. საბაზო ვარიანტში რაკეტას ბეტონ-საწინააღმდეგო საბრძოლო ქობინი აქვს, რომელსაც 1 მ სისქის რკინაბეტონის გარდღვევა შეუძლია.

შემდგომში შეიქმნა რაკეტის სხვა მოდიფიკაციებიც, — მოცულობით-დეტონირებადი (C-13D), მსხვერველ-ფუგასური (C-13DF და C-13OF) და ირმოდულიანი საბრძოლო ქობინებით. ეს უკანასკნელი მიწის ქვეშ განლაგებული ობიექტების გასანადგურებლადაა განკუთვნილი და მას 6 მ სისქის მიწის საფარის გახერხება ან ახაფრენ-დასაფრენი ზოლის 20 მ-ის დაზიანება შეუძლია.

C-13-ს ხუთ რაკეტაზე გათვლილი B-13-ის ტიპის ბლოკიან უშუქებენ. მისი სიგრძე 3558 მმ-ს შეადგენს, ცირკული ბლოკი კი 160 კგ-ს იწონის. რაკეტების გამშვებებს შორის ინტერვალი 120მმ-ს შეადგენს. არსებობს ბლოკის სამი მოდიფიკაცია. პირველი — B-13მთვითმფრინავებზე გამოიყენება და მისი მოხმარება ნებისმიერ საბჭოთა (რუსულ) თვითმფრინავს შეუძლია, რომელსაც სასმელეოი მისიების განადგურება შეუძლია. მეორე მოდიფიკაცია — B-13L1 შეუვლმფრინავისთვის შეიქმნა და ის Ми-8МТВ, Ми-28 და Ка-29-ის ტიპის შეუვლმფრინავებზე გამოიყენება. მესამე ვარიანტი — B-13L5 კი მხოლოდ Ка-50 და Ка-52-ის ტიპის დამრტყმელ შეუვლმფრინავებზე.

1965 წელს საბჭოთა კავშირში ახალ მძიმე კლასის უმართავ საავიაციო რაკეტაზე დაიწყო მუშაობა. რაკეტას ძლიერი საბრძოლო ქობინი უნდა ჰქონოდა. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა რაკეტის კონსტრუქციული ბიკალიბრული სქემა — კორპუსის დიამეტრი 266 მმ-ია, საბრძოლო ქობინისა კი — 340 მმ. საბაზო ვარიანტში



C-25-ის აფეთქებისას 10000-მდე ნამსხვრევი წარმოიქმნება

რაკეტა C-25-ის სიგრძე 3310 მმ-ს შეადგენს, ფრენისას მისი სტაბილიზაცია გასაძლელი ოთხფოთლიანი სტაბილიზატორით ხდება. ფუგასური საბრძოლო ქობინით ეს უკანასკნელი 190 კგ-ს იწონის, მილიანი რაკეტის მასა კი 480 კგ-ს უტოლდება. მისი გამოყენება მაქსიმალურ 4000 მ დისტანციაზე შეიძლება, ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 1900 კმ/სთ-ს აღწევს. ექსპლუატაციის გასამარტივებლად რაკეტას უშუქებენ ერთჯერადი ხის გამშვებ-სატრანსპორტო კონტეინერიდან, რომელიც სიმტკიცისთვის ალუმინის ფურცლებით არის გამოიერებული. რაკეტა შეიარაღებაში 1975 წელს მიიღეს. მსხვერველ-ფუგასური საბრძოლო ქობინით რაკეტას 30 მმ სისქის დაჯავშნული ფურცლისა და ნახევარი მეტრის სისქის აკურის კედლის გახერ-

ტა შეუძლია. C-25-ებს ავღანეთში ყველაზე ინტენსიურად Cy-25-ის ტიპის მოიერიშები იყენებდნენ.

ცოცხალი ძალის გასანადგურებლად შეიქმნა მოდიფიკაცია C-25O. მისი დეტონაცია რადიოსიმაღლეშობის საშუალებით მიზნიდან 5-7 მ-ის ოვზე ხდება და აფეთქებისას 10000 მ-მდე ნამსხვრევი წარმოიქმნება. 1979 წელს შეიარაღებაში უმართავი რაკეტის მართვადი ვარიანტი — C-25L მიიღეს, რომელსაც ლაზერული თვითდამზიანების ოვო აქვს. სხვა ვარიანტებისგან განსხვავებით მისი გამოყენება 7000მ დისტანციაზე შეიძლება. 397 კგ-ს ტოლი სასტარტო მასისას მისი სიგრძე 4038 მმ-ს შეადგენს. დღეს C-25 მსოფლიოში ყველაზე ძლიერი უმართავი საავიაციო რაკეტაა.

თეთრ კულუხავილი

მოიერიშე ტიპის რაკეტას უშვებს Cy-25 C-25OFM-ის უშვებს



სადესანტო სოვალდაზის ახალი ბენდისიაზი

ესპანელთა უახლესი
უნივერსალური
სადესანტო-ხომალდი
დღეი L-61 Juan Carlos I



XXI საუკუნის კონფლიქტებში საზღვაო-სადესანტო ძალები და საშუალებები კვლავინდებურად დიდ და ზოგჯერ გადაშვევტ როლსაც კი თამაშობენ.

უფანეთის კამპანიაში 2001 წლის 25 ნოემბერს არაბეთის ზღვაში მყოფი ხომალდებიდან შეკუმფურეზებით დაახლოებით 1000 ამერიკული საზღვაო ქვეითი ვან-დაარის სამზრეით გადასხდა და მალე იქ ამერიკელებმა პირველი ოპერატიული ბაზა შექმნეს.

2003 წლის გაზაფხულზე ვრავში ამერიკელი საზღვაო ქვეითების 21-ათასიანმა დაჯგუფებამ 700-კილომეტრიანი მარშით ბაღდადის შემოგარენს პირველმა მაღწია.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს შვი ზღვის ფლოტის დიდმა სადესანტო ხომალდებმა დასავლეთ საქართველოში რუსი საჰაერო მედესანტეების ერთი ნაწილი თავიანთი ტექნიკით შპოივიანეს.

კრიზისულ სიტუაციებში ოპერატიული რეაგირებისათვის სადესანტო-ამფიბიური ძალები საკმაოდ მოქნილი საშუალებაა, ამიტომაც მსოფლიოს მნიშვნელოვან რეგიონებში (ხმელთაშუა ზღვა, სპარსეთის ყურე, ატლანტის ოკეანე და სხვ.) დასავლეთის ქვეყნებისა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო საექსპედიციო ფორმირებები და მასში შემავალი ამფიბიური ძალები მუდმვე მზადყოფნაში არიან.

ამ ძალების შემადგენლობაშია საზღვაო ქვეითები, ჯგუზან და ავტოტექნიკა, მცურავი და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებები.

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ამჟავარ შესაძლებლობის მოკლებულია და ამით არის გამოწვეული ბოლო დროს მაღალი რანგის რუსი სამხედროების დასავლური უნივერსალური სადესანტო ხომალდებით დაინტერესება.

II სექტემბერს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა, ადმირალმა ვლადიმირ ვისოცკიმ განაცხადა, რომ რუსეთი შეუკუმფურეზში-

იდის ასარჩევად კონკურსის ჩატარებას აპირებს.

მისი თქმით, მოლაპარაკება ფრანგებთან Mistral-ის თობაზე დაწყებულია, მაგრამ კონკურსში მონაწილეობას პოლანდიელები, თავიანთი Rotterdam-ით, და ესპანელებიც მიიღებენ.

ადმირალმა ვისოცკიმ ასევე აღნიშნა, რომ კონკურსში არ მონაწილეობს აშშ, რადგან ვაშნეტონი რუსეთისათვის ნებისმიერი სამხედრო ტექნოლოგიის გადაცემას მტკიცეულად განიცდის.

რუსეთი შეუკუმფურეზშიდან ერთად დაინტერესებულია წარმოების ტექნოლოგიის შეტებით, ვინაიდან მსგავსი ხომალდებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა არ გააჩნია.

ადმირალ ვისოცკის განმარტებით, 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს შვი ზღვის ფლოტს თანამედროვე სადესანტო ხომალდები რომ ჰყოლიდა, მაშინ საქართველოსთან ოპერაციისათვის 26 საათის ნაცვლად 40 წუთი საკმარისი იქნებოდა.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ მთვერ მსოფლიო ომში საბჭოთა ფლოტი სადესანტო ოპერაციებს სპეციალური სადესანტო ხომალდებისა თუ კატარლების გარეშე ატარებდა. დესანტირებისათვის საბჭოთა საზღვაო ქვეითები ნაუებს, ტყეებს, თვეზმჭერ სეიანებს, პატრია და დიდი წყალწყვის საბრძოლო

პირველი ამერიკული
სადესანტო
შვეულმფრენშიზი
LPH-4 Boxer-ი





უნივერსალური
სადესანტო-ხომალდი
დოკი LHA-1 Tarawa

მცურავ საშუალებებს, სხვადასხვა სახის სამოქალაქო გემებს იყენებდნენ.

ბევრად მეტ სირთულეს მძიმე ტექნიკის დესანტირება ქმნიდა, ამიტომ ნაპირზე გადასული ქვეითები მხოლოდ მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით მოქმედებდნენ და ამის გამო დიდ დანაკარგს განიცდიდნენ.

ამის საილუსტრაციოდ გამოდგება 1941 წლის დეკემბერში ჩატარებული ვირიძის სადესანტო ოპერაცია, როცა 82500-კაციან კორპუსზე სულ 43 ტანკი და 198 ქვეითი მოდიოდა. შვიი ზღვის ფლოტს ჯაგუშან და ავტოტექნიკის გადასაყვანი სპეციალური სადესანტო ხომალდები არ ჰქონდა.

ომის შემდგომი წლების საბჭოეთში სახმელეთო ოპერაციებმა დომინირებული, ხოლო საზღვაო-სადესანტო ოპერაციებმა კი მორეზერვისიზიონი ადგილი დაიკავა. ფლოტიც ამ ხუდით ვითარდებოდა.

პირველი საბჭოთა სადესანტო ხომალდი (პროექტი 572 „ბურუა“) მსკობრში 1956 წელს ჩადა. ხომალდის სრული წყვეწვა 2030 ტონას შეადგენდა და პირველი 4-5 ტანკს ან 225 საზღვაო ქვეითს იტევდა. ავტონომიურბა 15 დღეს აღწევდა.

ომდროინდელი საბჭოთა სადესანტო ხომალდები სატიერთო გემების საფუძველზე იქმნებოდა და ორბჯ სამხედრო-სამოქალაქო დანიშნულებას ასრულებდნენ. ჰქინდათ დესანტის ნაპირზე გად-

მოსხმისათვის საჭირო აპარელი, შედესანტით მისაღები ადგილები და სხე ტექნიკურ გადაწვევბა და პარამეტრებით მეორე მსოფლიო ომის ამერიკული ხომალდებს შეესაბამებოდნენ და ტრადიციული ფორმით საზღვაო ქვეითების წყლის კიდებუ გადმოსხმას უზრუნველყოფდნენ.

საიკვლელ მხარდაჭერის მიუხედავად, ასეთ დესანტირებას თან უზარმაზარი დანაკარგი ახლდა, ამიტომ დასავლეთის ქვეყნებმა უარი თქვეს და ე.წ. „შემოვლით ვერტიკალურ მოქმედებებზე“ გადავიდნენ. დესანტირებას წინ უსწრებს საპაერო შეტკეებით სანაპირო ზოლის ზურგში განლაგებული ყველა თვდაცვითი ზღუდის განადგურება და ზღვიდან საზღვაო ქვეითთა გადასხმა მხოლოდ ამის შემდეგ იწყება.

ოპერაციებში მთავარი ადგილი შეუუღლებურენება დაიკავეს, რომლითაც შედესანტეთა პირველი ტალღის მოწინააღმდეგის ზურგში დესანტირება ბევრად მიხურჩებლი და ეფექტბანი გახდა.

შეუღლებურენება საეციალური სადესანტო შეუუღლებურენხშიდი ხომალდების საჭიროება შექმნა და პირველი ასეთი ხომალდის LPH-2 Iwo Jima-ს აგება ამერიკულბებმა 1959 წელს დაიწვეეს. დაიკვება შეიდა ერთულის აგება.

ხომალდების დასრულებამდე ამერიკის ფლოტი ძველი ავიამხიდეისსაგან გადაკითხული რამდენიმე სადესანტო შეუუღლებურენხშიდით შეუგხო. პირვე-

ლი მათგანი, 30 შეუუღლებურენის მიღებაზე გათუილილი LPH-4 Boxer-ი, ფლოტს 1959 წლის 30 იანვარს გადაეცა.

მიღერნისაციის გავლის შედეგად მწყობრში კიდევ ორი სადესანტო შეუუღლებურენხშიდი LPH-5 Princeton-ი და LPH-8 Valley Forge ჩადა.

ამერიკის შემდეგ ავიამხიდეის სადესანტო შეუუღლებურენხშიდებად გადაკითხებას დიდი ბრიტანეთი შეუღდა. 1960-62 წლებში R-08 Bulwark-ისა და R-07 Albion-ის გადაკითხება დასრულდა. თითოეული მათგანი 16 შეუუღლებურენს, ოთხ სადესანტო LCA ტიპის კატარალასა და 800-900 საზღვაო ქვეითს იტევდა.

სპეციალიზებულმა და სხვადასხვა დანიშნულების სადესანტო ხომალდებმა ვიეტნამის ომში ერთბოლიე მოქმედების დროს ამერიკულბებს დიდი თუხატები გაუწინა.

სანაპირო არტილერიის ცეცხლისაგან თუდასაკავად სამტაბო ხომალდების, სადესანტო შეუუღლებურენხშიდების, ხომალდ-დოკების, სატანკო-სადესანტო და ქვეითთა სადესანტო ხომალდების თუ-მართა სანაპიროდან 25-30 კილომეტრის დაშორებით მიმდინარეობდა.

დესანტირებისათვის გამოყოფილი 30 წეთი მხოლოდ შეუუღლებურენებისათვის იყო საკმარისი, ხოლო ტქნიკის გადამტან ნელბაკო სადესანტო ბარეებს ბევრად მეტო დრო უწიერბობდა.

განდა უნივერსალური ხომალდის აგების იდა, რომელიც შეუუღლებურენხ-

1941 წელი. საბჭოთა დესანტი ქერჩისკენ მიემართება



იდის, დოკისა და სადესანტო ხომალდის თვისებებს შეითვისებდა, ხოლო ტექნიკის ტრანსპორტირებას საპაერო ბალიშზე მოცურავე სწრაფსელანდი სადესანტო კატრანდები უზრუნველყოფდა.

ახალი კონცეფციის შესაბამისად აგებული პირველი უთერსალაური სადესანტო-ხომალდი დოკი LHA-1 Tarawa ამერიკის ფლოტის განკარგულებაში 1976 წლის 29 მაისს გადაეცა.

ხომალდის სრული წყალწვევა 39970 ტონას და სიგრძე 250 მეტრს აღწევს. გემბანის მთელ სიგრძეზე საფრენი აპარატებისათვის 8-10 დასაჯდომი მოედანი მოწყობილი. ეკონომიური სვლით ხომალდი 10 ათასი მილის სიშორეზე დაცურავს.

Tarawa-ით ათუჯზე მეტ საფრენ აპარატს იტევს და მათ შორის არის: ვერტიკალური აფრენა-დაშვების მოიეროშეები AV-8B Harrier-ი, შეუღლმფრენები — სატრანსპორტო-სადესანტო CH-46D/E Sea Knight-ი, მრავალზრთვი დანიშნულების CH-53A Sea Stallion-ი და საცეცხლე მხარდაჭერის AH-1W Super Cobra.

საფრენი აპარატების რაოდენობრივი თანაფარდობა შესასრულებელი ამოცანის მიხედვით განისაზღვრება.

მცურავე სადესანტო საშუალებებიდან ხომალდზე არის საპაერო ბალიშზე მოცურავე ერთი LCAC ტიპის კატარა (ტვირთაშეწობა 68 ტონა ტვირთი, ან 1 ტანკი M1 Abrams-ი, ან 180 საზღვაო ქვეითი) და ოთხი ჩვეულებრივი LCU 1610 ტიპის კატარა (ტვირთაშეწობა 180 ტონა ტვირთი, ან 3 ტანკი M1 Abrams-ი, ან 3 ქვეითთა საბრძოლო მანქანა M2 Bradley, ან 400 საზღვაო ქვეითი).

ხომალდი ბორტზე 2 ათასამდე საზღვაო ქვეითსა და 45 მცურავე ჯეჟმანტრანსპორტიორ LVTP-7-ს იტევს.

Tarawa სრულად დაკომპლექტებული საზღვაო ქვეითთა ბატალიონის ზღვით ტრანსპორტირებასა და ნაპირზე დესანტირებას უზრუნველყოფს. ბორტზე საზღვაო ქვეითებისათვის საყოფაცხოვრებო და გარემოსდაცვითი საუფრენო პირობებია შექმნილი.

ხომალდის კორპუსის ფორმა და ენერგეტიკული დანადგარების სიმძლავრე მაქსიმალური — 23-24 კვანძის წყურების საშუალებას იძლევა და ორდერში სხვა ხომალდებთან ერთად მაღალი ხაჩქარით ცურავა შეუძლია.

ვერობულმა ქვეყნებმა თავიანთი სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის ამერიკელებისაგან განსხვავებული მიდგომებით რამდენიმე პროექტის უთერსალაური სადესანტო-ხომალდი დოკი ააგეს.

ვერობული ხომალდები ამერიკელებს

L9013 Mistral-ის გემბანი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ტექნიკის მიღებაზეა გათვლილი



წყალწვევით ჩამოყვარდება და შესანამსხმად, ნაკლებია საზღვაო ქვეითთა ქვედანაყოფის, საპაერო და საზღვაო დესანტირებისათვის საჭირო ტექნიკის, საზღვაო ქვეითებისათვის აუცილებელი ჯეჟმან და ავტო ტექნიკის რაოდენობა.

ეს ხომალდებით საბრძოლო დანიშნულებასთან ერთად სამშვიდობო და პუბლიკური ოპერაციებში მონაწილეობაზეა გათვლილი.

პირველად მსოფრმში 1988-94 წლებში იტალიური ხომალდები (L9892 San Giorgio, L9893 San Marco, L9894 San Gusto) შევიდა.

ესპანელებმა პოლანდიელებთან ერთობლივად Rotterdam-ის პროექტით 1998-2000 წლებში ორი ხომალდი (L-51 Galicia, L-52 Castilla) დაასრულეს. ზომით ბევრად დიდი და 25 ათასი ტონა წყალწვევის L-61 Juan Carlos I-ის დამთავრება წელს არის მოსალოდნელი. ხომალდი ბორტზე 18 საფრენ აპარატს, 1-4 სადესანტო კატარას, 900-კაციან დესანტსა და ჯეჟმანტექნიკის 46 ერთეულს მიიღებს.

საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს 2006 წლის თებერვალში L9013 Mistral-ი გადაეცა და იმავე წლის ფელისში ხომალდი ლიბანიდან ფრანგი მოქალაქეების ვეკუკაიამო მონაწილეობდა. მორე ხომალდი L9014 Tonnerre მსოფრმში 2007 წლის თებერვალში ჩაგდა.

ბრიტანეთის ფლოტს 2003-04 წლებში 18500 ტონა წყალწვევის L-14 Albion-ი და L-15 Bulwark-ი, ხოლო 2004-07 წლებში კი — L-3006 Largs Bay, L-3007 Lyme Bay, L-3008 Mounts Bay და L-3009 Cardigan Bay დაემატა.

პოლანდიელებმა 1998 წელს L-800 Rot-

terdam-ი და 2007 წელს კი ზომით გაზრდილი L-801 Johan de Witt-ი დაასრულეს.

რუსეთის ფლოტს საბჭოთა ფლოტი-საგან შემკვიდრებით დარჩა ამერიკული Tarawa-ს საპასუხოდ აგებული 13 ათას ტონა წყალწვევის 1174 პროექტის სამი დიდი სადესანტო ხომალდი „ოჟან როგოვი“ (მწიობრში ჩადგა 1978 წელს), „ალექსანდრ ნიკოლაევი“ (1982 წელი) და „მეტროფან მოსკალევი“ (1989 წელი). ამ ხომალდებს 3-6 სადესანტო კატარღის მისაღები დოკ-კამერები აქვს. გემბანზე 4 სატრანსპორტო-საბრძოლო შვეულმფრენის და საჯდომ-ასაფრენი მოედნებია მოწყობილი.

ხომალდების ექსპლუატაცია საკმარისი რაოდენობით გამოდგა და რამდენიმე წელია, რაც სამივე რუსურში გადავიდა და ჯარით დაჭრა მოეწიეს.

2004 წლის 23 დეკემბერს რუსებმა კალინინგრადის გემსაშენ კარხანა „იანტარში“ საფუძველი ჩაუყარეს 11711 პროექტის დიდ სადესანტო ხომალდ „ოჟან გრესს“.

შემუშებლობა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს და ამას რუსები ფინანსების ნაკლებობით ხსნიან. 2010 წლისათვის შეიძლება კორპუსი დამთავრდეს და ამის შემდეგ ხომალდის დასრულებას კიდევ 2-3 წელი დასჭირდება.

XXI საუკუნეში დესანტირება ბევრად კომფორტული გახდა



ტექნიკური პარამეტრებით „ოჟან გრესსი“ ყველაზე პატარა იტალიურ უზრუნველყოფის სადესანტო-ხომალდ-დოკსაც კი ჩამოუვარდება.

5000 ტონა წყალწვევის რუსული ხომალდი 300 საზღვაო ქვეითის, 60 ჯეჟსანტრანსპორტიორის ან 13 ტანკის მიღებაზეა გათვლილი. საპირე უზრუნველყოფას ორი Ka-29TB ან Ka-50 ტიპის შვეულმფრენი უკეთებს.

დასავლეთის ქვეყნების გემთაშენებისათვის 2-5 წელიწადი სრულიად საკმა-

რისია რუსულ „ოჟან გრესსზე“ ბევრად დიდი წყალწვევისა და უკეთესად აღჭურვილი ხომალდის დასამთავრებლად. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რუსი სამხედროები ახალი თაობის სადესანტო ხომალდების შექმნას ეროვნულ აპირებენ.

რუსეთის ფლოტი განახლებას მოითხოვს, მაგრამ გაუგებარია, რისთვის ან სად უნდა გამოიყენოს 2 მდლიარდი ევროს ღირებულების 4 სადესანტო ხომალდი?

თეიმურ ჩაჩინიძე

შენიშნავალი სადესანტო ხომალდ-დოკების მახასიათებლები

	L-9892	L-801	L-52	L-9013	L-3006
ხომალდი	L-9892	L-801	L-52	L-9013	L-3006
ქმედება	იტალია	პოლანდია	ესპანეთი	საფრანგეთი	ინგლისი
წყალწვევა, ტონა	7665	16800	12750	21300	16160
სიგრძე, მეტრი	133,3	176,3	166,2	210	176
ენერგეტიკული დანადგარის სიმძლავრე, ცხენის ძალა	16800	25800	26600	35800	15200
მაქსიმალური სიჩქარე, კვანძი	21	19	19	18,8	18
ცურვის სიშორე, მილი	7500	10000	11000	11000	8000
შეიარაღება: საუბოეციო	2 CH-47 ან 2 SH-3D და 5 AB-212W	6 NH-90 ან 4 EH-101	4 SH-3 ან 6 AB-212	8 NH-90 და 8 Tiger	*
სადესანტო	3 LCP და 3 LCVP	6 LCVP 4 LCU	6 LCVP ან 4 LCM (8)	2 LCAC ან 4LC	2 LCVP ან LCU 10
დესანტის რაოდენობა, კაცი	400	613	611	450	356
ტექნიკა	30 VCC-1 ან 20 VCC-1 და 10 LVTP-7	170 ან 33 ტანკი	130 ან 33 ტანკი	60 Jeep ან 13 Leclerc	32 Challenger 2 ან 150 Jeep

გაივლიან თუ არა ავარიული „აგრიუსები“ და გერმანული „ლეოპარდები“ ქართულ სოფარიზო-გასაგულელ სიღრმეზე

სამხედრო-საბრძოლო ოპერაციების წარმოებისას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბუნებრივი და ხელოვნური წინაღობების გადალახვას. მდინარეებზე თუ ხელოვნურ თხრილებზე გადებული ხიდები უდიდეს მნიშვნელობას იძენდა ჯარების მოძრაობისა თუ მომარაგებისათვის. გასაკვირი არ არის, რომ ხიდების დაკავება და კონტროლი უმეტესსა სამხედრო ოპერაციების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მონაცემების ხიდი არ არსებობს, ან მონიწილადგეგმის ხელშია, ან განადგურებულია, ახალი ხიდის აგების საჭიროება მწვედვად დგება. სამისოდ შექმნილია სამხედრო დანიშნულების სწრაფი ხიდგამდგები.

მსოფლიოში სულ რამდენიმე ასეთი კონსტრუქციაა შექმნილი. მათ შორის ერთ-ერთი საქართველოშიც, ორიგინალური კონსტრუქციის გასაშლელი ხიდი, რომლის თაობაზეც უკრნალ „არსენალი-ში“ ვრცელი სტატია იყო. როგორც აღმოჩნდა, საქართველოში ამ საკითხზე მუშაობა არ შემუშვდარა და პროექტის ავტორებს იმედო აქვთ, რომ დღის სინათლეს ქართული საკონსტრუქტორო აზრის კიდევ ერთი პირში იხილავს. პროექტს სამხედრო მეცნიერებათა და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა ერთეული აკადემიის წევრ-კარგისინფენტი, პროფესორი, გენერალ-მაიორი **მ. ზვავა მამარიაშვილი** ხელმძღვანელობს. მისი ხელმძღვანელობით შექმნილი სამხედრო დანიშნულების სწრაფ-გასაშლელი ხიდი უნიკალურია და რამდენიმე უსწრეს მსოფლიოში არსებულ ანალოგიური დანიშნულების კონსტრუქციებს.

ბატონი დეგუჯას განმარტებით, სამხედრო-საფრთხი, გასაშლელი, ერთმალეანი ხიდების გაშლა-დაკეცვისა და გადასალახ წინააღმდეგობებზე გადების შემდეგ სექციის არსებობს:

1. ხიდის კონსტრუქცია დაკეცვა-გაშლის გათვალისწინებულია და გაიშლება გადასალახ წინააღმდეგობაზე – აღნიშნული სექცია ფრთხილ იყო გამოყენებული ადრინდელ კადასტრებში. ამის მავალიად შეიძლება განვიხილოთ მოდიფიკაციები



ტანკ M-60-ის ბაზაზე შექმნილი ამერიკული ხიდგამდგები AVLB-ი

რუსული ხიდგამდგებისა – MTY. ასეთი ხიდების სიგრძე, გამომდინარე მისი სატრანსპორტო პაკეტის ზღვრული გაბარიტიდან, არ შეიძლება ვიწოვოყო 12 მეტრზე მეტი.

2. ხიდის კონსტრუქცია „გადახსნის“ მთოფიდი გადგება გადასალახ წინააღმდეგობაზე.

3. ხიდის მალე ირმზრეი გადგლით ამ ორ შემთხვევაში მაგალითად შეიძლება მყოფენით ინგლისური ვარიანტი ხიდგამდგებისა, რომელსაც ორეე მზარეს სახსრულად მიერთებული მალეები აქვს. ანალოგიური ვარიანტი დამუშავდა საქართველის ტექნიკური უნივერსიტეტის ნეგებისების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტრუქტში.

4. ხიდის მალის დანაწევრებული ბლოკებით და ტელესკოპური ისროთ, ხიდის მალის ნაშენის მოწყობა გადასალახ წინააღმდეგობაზე – აღნიშნული მთოფიდი გარკვეულწილად გულისხმობს ტრანსფორმირებად სისტემებს, „ტელესკოპის პრინციპს“.

ველე შემთხვევაში, წარმოდგენილი სექცია, პირველ ეტაპზე, წარმოადგენს ასე-ფომი ხიდის მალის ნაშენისათვის ტელესკოპური ბაზის შექმნას და შემდგომ

